



## პროექტს „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა სამოქალაქო მონიტორინგისა და ჩართულობის გზით“ პრეზენტაცია

### პრეს-რელიზი

17 დეკემბერს, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან (GYLA) ერთად ევროკავშირის (EU) მხარდაჭერით გამართა პროექტს „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა სამოქალაქო მონიტორინგისა და ჩართულობის გზით“ პრეზენტაცია.

პრეზენტაციისას მონაწილეები გაეცნენ მიმდინარე რეფორმის ფარგლებში არსებულ გამოწვევებს და მათ საპასუხოდ პროექტის ფარგლებში დაგეგმილ ძირითად ღონისძიებებს.

მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს IDFI-ის აღმასრულებელმა დირექტორმა **გიორგი კლდიაშვილმა** და ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში მართვისა და ადამიანური კაპიტალის პროგრამის გუნდის ხელმძღვანელმა **კოლომბი დე მერსიმ**.

„პროექტის მთავარი იდეა მდგომარეობს შემდეგში: PAR-ის მონიტორინგის ონლაინ პლატფორმის შექმნით, PAR-ის საბჭოს წევრი არასამთავრობო ორგანიზაციები აღიჭურვებიან მონიტორინგის ერთიანი და ეფექტური მექანიზმით, და იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც პროცესში არ არიან ჩართულები, ექნებათ შესაძლებლობა, წვლილი შეიტანონ რეფორმის განხორციელებაში. PAR Tracker-ი გახდება დამაკავშირებელი მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს სამიზნე ჯგუფებსა და ბენეფიციარებს თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები გაუზიარონ რეფორმის განხორციელებაზე პასუხისმგებელ საჯარო დაწესებულებებს“.- აღნიშნა **გიორგი კლდიაშვილმა**.

“საქართველოს მთავრობა აცნობიერებს საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) მნიშვნელობას და როლს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების ეფექტურად განხორციელებაში. მთავრობამ მიიღო რამდენიმე სტრატეგია, რომლებიც უხეობდა საჯარო მმართველობის რეფორმის პროცესის სხვადასხვა ასპექტს და უზრუნველყო რეფორმის აუცილებელი შიდა მონიტორინგი. თუმცა, დღემდე, მასში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას არა აქვს სისტემური ხასიათი. როგორც ამ პროექტის ნაწილი, მონიტორინგის სისტემური და ინოვაციური მიდგომა ხელს შეუწყობს რეფორმირების მთავარ პრობლემურ ფაქტორების დადგენას და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებას.“- აღნიშნა **კოლომბი დე მერსიმ**.

### პროექტის ძირითადი აქტივობები:

- ▶ IDFI და GYLA საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების პროცესს მონიტორინგს გაუწევენ განსაკუთრებით შემდეგი ოთხი მიმართულებით: **პოლიტიკის შემუშავება, ანგარიშვალდებულება, საჯარო ფინანსების მართვა და სერვისების მიწოდება**. შედეგად გამოვლინდება რეფორმის განხორციელების პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები. შევასება გამოყენებულ იქნება, როგორც მონიტორინგის ალტერნატიული ანგარიში, რომელიც შეავსებს და გადაამოწმებს საქართველოს

მთავრობის ანგარიშს. მუხსრულებელი ვალდებულებების გამოკვეთისთანავე, პროექტის გუნდი შეისწავლის ვალდებულებების მუხსრულებლობის გამომწვევ მიზეზებს და წარმოადგენს მათი გადაჭრის გზებს.

- ▶ IDFI შექმნის მონიტორინგის ონლაინ პლატფორმას - PAR Tracker-ს, რომლის მეშვეობითაც ფართო საზოგადოება და ყველა დაინტერესებული მხარე მიიღებს ყოვლისმომცველ ინფორმაციას PAR-ის განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში ჩართულობის შესაძლო გზების შესახებ.
- ▶ GYLA საქართველოს 6 ქალაქის მასშტაბით (ახმეტა, ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი, ფოთი და მარნეული), 11 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციას გადაამზადებს.
- ▶ IDFI შეისწავლის საუკეთესო პრაქტიკებს PAR Tracker-ის მიერ გამოკვეთილ ყველაზე პრობლემურ საკითხებზე, შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს, რომლებსაც საბუშო შეხვედრებისა და მრგვალი მაგიდის დისკუსიების მეშვეობით, გაუზიარებს ყველა დაინტერესებულ მხარესა და გადაწყვეტილების მიმღებ პირს.

პროექტი „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა სამოქალაქო მონიტორინგისა და ჩართულობის გზით“ ორწლიანია, 2019 წელს დაიწყო და 2021 წელს დასრულდება.

---

#### მედიასთან საკონტაქტო ინფორმაცია:

- თამარ მიქელაძე, ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში, +995 32 2943763, [tamriko.mikadze@eeas.europa.eu](mailto:tamriko.mikadze@eeas.europa.eu)
- მაგდა გუგავა, IDFI, +995 599 420206, [m.gugava@idfi.ge](mailto:m.gugava@idfi.ge)